

„ლაილაშის კოდექსი — ქართველ ებრაელთა გვირგვინი“

ლაილაშის ბიბლია ოქსფორდის უნივერსიტეტი

დღეს ბევრი ქართველი მეცნიერი მუშაობს უცხოეთის უნივერსიტეტებში. ერთ-ერთი ამათგანი გახლავთ თეა გომელაური. იგი ოქსფორდის უნივერსიტეტში იღვწის. ამჟამად მისი კვლევის საგანი გახლავთ ლაილაშის ბიბლია. ამასწინათ თეა გომელაურმა „მენორას“ რედაქციას აცნობა: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ლაილაშის კოდექსის პრეზენტაცია წარმატებით შედგა დღეს ოქსფორდის უნივერსიტეტში. 2024 წლის 29 თებერვალი ლაილაშის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დღე.“

ქ-ნ თეას ვთხოვეთ, ჩვენი მკითხველისათვის უფრო ვრცლად ეამბნა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის თაობაზე.

წიგნის პრეზენტაცია ოქსფორდის უნივერსიტეტი

2024 წლის 29 თებერვალი ქართველ ებრაელთა, განსაკუთრებით ლაილაშის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საამაყო მოვლენა: ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარმა დოქტორმა თეა გომელაურმა კოლეგებს გააცნო მისი ავტორობით დაბეჭდილი წიგნი „ლაილაშის კოდექსი: ქართველი ებრაელების გვირგვინი.“

ქართველ ებრაელთა უდიდესი საგანძური, შუასაუკუნეების ებრაულ ხელნაწერთა შორის გამორჩეული გვირგვინი-ლაილაშის ბიბლია პირველად ქართველ ებრაელთა თემის ისტორიაში წარსდგა მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და უძველესი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის აუდიტორიის წინაშე.

საქართველოში ეს ხელნაწერი ლაილაშის ბიბლიის სახელწოდებითაა ცნობილი, მაგრამ აღნიშნული რელიგიურ-ლიტერატურული ძეგლის ლაილაშის კოდექსად მოხსენიება უფრო მართებულია, რადგან იგი წარმოადგენს ებრაული წმინდა წერილის


(თანახის) მხოლოდ პირველ ნაწილს — თორას, მოსეს ხუთწიგნულს. ხელნაწერთა ექსპერტების ტერმინოლოგიის მიხედვით, კოდექსი ეწოდება წიგნის მსგავსად აკინძულ ხელნაწერს.

დღემდე ლაილაშის კოდექსი შეუსწავლელ ხელნაწერთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. შესაბამისად, ოქსფორდის უნივერსიტეტის ტილორის ინსტიტუტის მიერ ლაილაშის კოდექსის შესახებ პირველი ინგლისურენოვანი წიგნის დაფინანსება, განსაკუთრებული პატივია.

ლაილაშის კოდექსის შესახებ 56 წლის წინათ გამოქვეყნებული ერთადერთი ქართულენოვანი სტატია, შეიცავს მრავალ უზუსტობას. ფრანგმა ჰებრაისტმა პროფესორმა ჟერარდ ემანუელ უელიმა, ქართველი სემიტოლოგის სტატიის დაბეჭდვიდან 7 წლის შემდეგ, გამოსცა ფრანგულენოვანი ნაშრომი, რომელშიც ქართველი მეცნიერის მიერ დაშვებული რამდენიმე შეცდომა გაასწორა, მაგრამ არცერთი სტატია საქართველოს ფარგლებს არ გასცილება.



© Thea Gomelauri



დოქტორ თეა გომელაურის წიგნმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთა ყურადღება. ლაილაშის კოდექსის წიგნის პრეზენტაცია დაგეგმილი იყო 2023 წლის 18 ოქტომბერს, მაგრამ ისრაელში 7 ოქტომბერს მომხდარი მოვლენების გამო, რამდენიმე თვით გადაიდო.

ქვემოთ გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს საერთაშორისო ექსპერტთა და აკადემიკოსთა რეცენზიებიდან. აღნიშნული მასალა სრული სახით გამოქვეყნებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ებრაული ცივილიზაციის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ორი სოლტესი ასე მიესალმა გამოცემას:

„აღფრთოვანებული ვარ წიგნის ავტორის ინიციატივით რომელმაც ეს სასახელო საქმე იტვირთა. ლაილაშის კოდექსის გამოცემასა და მისი მსოფლიო საზოგადოების წინაშე წარდგენაში, არის რაღაც ზებუნებრივი. იმედია, ეს ღვაწლი ღირსეულად დაფასდება და დაცულ იქნება მომავალი თაობებისთვის.“

აშშ-ს ებრაული თეოლოგიური სემინარიის ყოფილი პრეზიდენტი, იუდაიზმის ფაკულტეტის ილიენს რავინის პროფესორი ალან კუპერი:

„ლაილაშის ბიბლია არის უდიდესი კულტურული განძი. დოქტორ თეა გომელაურის ნაშრომი ახდენს მის რეაბილიტაციას ხანგრძლივი უგულვებელყოფის პერიოდის შემდეგ. წიგნის თითოეული გვერდიდან შევისწავლე ახალი ინფორმაცია. უაღრესად მთაბრუნებელი იყო შოთა რუსთაველის

ფრესკის გადარჩენის ისტორია და მასში ლაილაშის კოდექსის როლი.“

ოქსფორდის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და რელიგიის ფაკულტეტის საპატიო პროფესორი და ბრიტანეთის აკადემიის აკადემიკოსი ანა აბულაფია:

„წიგნი საზოგადოებას აცნობს ფასდაუდებელ მასორეტულ ხუთწიგნულს - ლაილაშის კოდექსს და მისი გადარჩენის საოცარ ისტორიას. დოქტორ თეა გომელაურის ნაშრომი გადმოგვცემს უმდიდრეს ინფორმაციას ხელნაწერის შემადგენლობის, მისი უნიკალური თვისებების და მის გადამწერთა შესახებ. წიგნში მოცემულია კოდექსის ზედმიწევნითი ანალიზი.“

ჰარვარდის უნივერსიტეტის კლასიკური და თანამედროვე ებრაული ლიტერატურის პროფესორი დავით სტერნი:

„ეს არის განსაკუთრებული კოდექსი არა მხოლოდ როგორც მისი ბიბლიური ტექსტის, არამედ მისი თავგადასავლის გამო. მთელი ისტორია წარმოუდგენლად მომხიბლავია.“

აშშ-ს სმიტის კოლეჯის იუდაიზმისა და ბიბლიური ლიტერატურის პროფესორი ჯოელ კამინსკი:

„წიგნი მკითხველს აცნობს ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს და დღემდე შეუსწავლელ მასორეტულ ხელნაწერს, რომელიც ქართველი ებრაელების საგანძურს წარმოადგენდა სანამ კომუნისტურმა ხელისუფლებამ მისი ხელყოფა არ მოახდინა. ბიბლიის ტექსტის შესწავლით დაინტერესებული ექსპერტები დიდად ისარგებლებენ

დოქტორ თეა გომელაურის მიერ ხელნაწერის უნიკალური დეტალების შედარებითი ანალიზით. ებრაელთა ისტორიით დაინტერესებული მეცნიერები კი შეისწავლიან კოდექსის ისტორიასთან დაკავშირებულ მოვლენებს და მათ მნიშვნელობას.


მადრიდის სან დამასოს ეკლესიას-სტური უნივერსიტეტის პროფესორი იგნაციო კარბაქოსა:

„ხელნაწერის შესახებ პირველი ინფორმაციიდან 150 წლის შემდეგ, დოქტორ თეა გომელაურის ლაილაშის კოდექსი გვთავაზობს პირველ და დიდი ხნის ნანატრ ნაშრომს ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის შესახებ რომელსაც ღირსული ადგილი უჭირავს მსოფლიოში ცნობილი ლენინგრადის და სასუნის კოდექსების გვერდით. ლაილაშის კოდექსი ფასდაუდებელი განძია. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ებრაული ბიბლიის მასორეტული ტექსტის ერთ-ერთ მონმეს, არამედ უძვირფასეს ისტორიულ-ლიტერატურულ ძეგლს მისი განსაკვირვებელი და უნიკალური მიკროგრაფიული გაფორმების გამო. მიუხედავად ლაილაშის კოდექსის უდიდესი მნიშვნელობისა, იუდაიზმის და ბიბლიური ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერებისთვის უცნობი იყო ინფორმაცია მის შესახებ. დოქტორ გომელაურის ნაშრომი ამ ნაკლოვანებას ავსებს. იმედია, ეს გამოცემა გახდება ებრაული ბიბლიის შესწავლის განუყოფელი ნაწილი.“

აშშ-ს იეშივის უნივერსიტეტის პროფესორი აარონ კოლერი:

„წარმოდგენილი ნიგნი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილში მოცემულია ისტორიული დეტალები ლაილაშის ხელნაწერის პირველი ისტორიული ცნობიდან დღემდე, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა ხელნაწერის დეტალურ აღწერას და ლენინგრადის და ალექსანდრიის კოდექსებთან შედარებით ანალიზს. ნიგნის ორივე ნაწილი თანაბრად მომხიბლავია. ვულოცავ დოქტორ თეა გომელაურს ამ უმნიშვნელოვანეს ნაშრომზე.“

ავტორმა აღნიშნა: „ნიგნის გამოცემას წინ უძღოდა 2020 წლის 1 დეკემბერს ინტერნეტში გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი სტატია სახელწოდებით „ლაილაშის ბიბლია: ქართველ ებრაელთა მკაცრად დაცული საიდუმლო“. სამი წლის მანძილზე, ჩემი ეს მოკლე ინგლისურენოვანი სტატია წარმოადგენდა ლაილაშის კოდექსის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს. მოხარული ვარ რომ დღეს მსოფლიოს ექსპერტებს შეუძლიათ გაეცნონ ამ დახვეწილი ხელნაწერის ისტორიას და მის შიგთავსს. ნიგნი



© Thea Gomelauri

ხელმისაწვდომია ხუთივე კონტინენტზე და მისი შექმნა შესაძლებელია როგორც ინტერნეტით ასევე მსოფლიოში ყველა პრეტიჟული ნიგნის მაღაზიაში.“

პრეზენტაციას გაიმართა ოქსფორდის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორის ალექსანდრე მორისონის თაოსნობით. ავტორმა შეკრებილ აუდიტორიას გააცნო ლაილაშის კოდექსის მოკლე ისტორია და ყურადღება გაამახვილა მისი უნიკალურობის დამადასტურებელ რამდენიმე ფაქტორზე. დოქტორ თეა გომელაურის განცხადებით, სრულიად დასაბუთებულია, რომ ლაილაშის ხელნაწერი შედგებოდა პერგამენტის 188 ფურცლისგან. დღეისათვის 16 ფურცელი დაკარგულად მიიჩნევა. შესაბამისად სახეზე გვაქვს 172 ფურცელი. დაკარგული ფურცლებიდან 12 მათგანი შეიცავს ბიბლიურ ტექსტს, ხოლო ხელნაწერის ბოლო ოთხი ფურცელი გადამწერის კოლოფონს და მასორეტულ ინფორმაციას. თბილისში ინახება ხელნაწერის 169 ფურცელი, აქედან ერთი ფურცელი ჩანაცვებულია მოგვიანებით სრულიად განსხვავებული ხელით ხმოვნების და მასორეტული კომენტარების გარეშე.

ნიგნის საშუალებით მკითხველი შეიტყობს ლაილაშის კოდექსის დღემდე უცნობი დეტალებს; კერძოდ, ხელნაწერის სამი ორიგინალი ფურცელი დაცულია ისრაელის ეროვნულ

ბიბლიოთეკაში. ერთი ფურცელი წარმოადგენს შექმნათა/დაბადების ნიგნის დასასრულს, ხოლო ორი ფურცელი მოსეს გალობის (ჰაზინუ) გაგრძელებას, რომელიც თბილისში დაცულ ხელნაწერში წყდება გალობის პირველ გვერდზე. აღნიშნული აღმოჩნა უმდიდრეს მასალას იძლევა შემდგომი კვლევისთვის. მკითხველი მალე გაეცნობა ამ სიახლეებს. მოსეს გალობის სრული ტექსტის ანალიზი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მისი დანერის გეოგრაფიული არეალის და გადამწერის ტრადიციების შესახებ. როგორც ცნობილია, არსებობს ბიბლიის ებრაულ ხელნაწერთა შესრულების და ფორმატის განსხვავებული ტრადიციები. ამ ინფორმაციის შეფერვა მკვლევარებს დაეხმარება ხელნაწერის წარმომავლობის დადგენაში.

უაღრესად საინტერესო დეტალია ასეთი ფაქტი: ლაილაშის კოდექსის სამი ფურცელი 45 წლის განმავლობაში იყო ისრაელის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ისე რომ ბიბლიის მკვლევარებისთვის ინფორმაცია ამ ფურცლების არსებობის შესახებ, ნიგნის გამოქვეყნებამდე უცნობი გახლდათ. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი თამამად შეიძლება შეფასდეს ბიბლიურ სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენად მკვდარი ზღვის გრაგნილების შემდეგ! ლაილაშის ბიბლიური ხელნაწერის

ფურცელთა ლოკაცია საქართველოსა და ისრაელში უდიდესი სიმბოლოებითაა დატვირთული. იგი ასახავს საქართველო-ისრაელს შორის ურღვევ კავშირს.

ნიგნის პრეზენტაციას საპატიო სტუმრის სტატუსით მეუღლესთან ერთად დაესწრო ოქსფორდის უნივერსიტეტის ებრაისტიკის და იუდაიზმის შესწავლის ცენტრის საპატიო პრეზიდენტი ბატონი პიტერ ოპენჰეიმერი. მან აღტაცება ვერ დაფარა ამ უნიკალური შესაძლებლობის გამო და მადლიერება გამოთქვა როგორც ავტორის, ასევე ნიგნის პრეზენტაციის ორგანიზატორთა მიმართ.

ახლადგამოქვეყნებული ნიგნის ასლები დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში, დიდი ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლენის ბიბლიოთეკაში. ქართველ ებრაელთა თემს და განსაკუთრებით ლაილაშიდან ამოსულ ებრაელთა შთამომავლობას, შეუძლია იამაყოს იმ ფაქტით რომ საქართველოს ულამაზეს, მაგრამ ნაკლებად ხელმისაწვდომ კუთხეში საუკუნეების მანძილზე დაცულმა ლაილაშის კოდექსმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოში ყველაზე უდიდეს სამ ბიბლიოთეკაში.

თეა გომელაური

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

21 თებერვალს მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ორი ღონისძიება გაიმართა.

თბილისის საკრებულოს თამარ მეფის დარბაზში გაიმართა მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ინიციატორები იყვნენ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია, საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თანამშრომლობით სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან.

ღონისძიება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მშობლიური ენის საერთაშორისო დღე მიულოცა: „21 თებერვალი მშობლიური ენის საერთაშორისო დღეა და ის მთელ მსოფლიოში აღინიშნება. ეს თარიღი იუნესკომ 1999 წელს დაანუსა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარ-

ჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით. ამ დღეს განსაკუთრებით ვამაყობთ, რომ ჩვენი ენა - ქართული - ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ენაა, რომელზეც მსოფლიო ლიტერატურის შედევრებია შექმნილი. მრავალი ქართველის მიუხედავად, ჩვენი შევქმნილი და შევინარჩუნეთ ჩვენი ენა, როგორც ერის იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უნიკალური საშუალება. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და ქართული ენის განვითარებაში. ასევე დიდი წვლილი მიუძღვით აქ მცხოვრები სხვადასხვა ერების წარმომადგენლებს, რომელთა დაჯილდოება დიდი პატივია ჩემთვის. ვულოცავ ამ დღეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს“, - განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

მისასალმებელი სიტყვით გამოსვლაში საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახა ლაბუჩიძემ აღინიშნა, რომ „მშობ-

ლიური ენის საერთაშორისო დღე თბილისის საკრებულოში განათლების და კულტურის კომისიის მიერ ყოველწლიურად აღინიშნება. საქართველოში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, რომელთათვის მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რამდენადაც აღინიშნება ერის იდენტოფიკაციის დღე. ენა არის მთავარი მონაპოვარი ამა თუ იმ ერისა, ის განმსაზღვრელია ერის კულტურის და იდენტობის“. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, შერეგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი კახა ჭიეშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა კულტურის მინისტრის მოადგილე ნინო ლობჯინიძე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მეცნიერი,

პროფესორი თინათინ ბოლქვაძე, მწერალი სალომე კაპანაძე და სხვები.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამოქალაქო ინტეგრაციაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ: გურამ ბათიაშვილი, ზაირა დავარაშვილი, ლარისა ნამთალაშვილი, გივი შაჰნაზარი, ვან ბაიბურთი, მზია ხეთაგური, ნატალია ტროხიმი, ნაირა მარშანია, ნინო პოპიაშვილი, რაზიათ ქუმარიტოვი, ევგენია კოტანიდისი, რაფიგ გუმბათოვი, როსტომ ფარეულიძე, მზია კობერიძე, დიმიტრი თეიმურაზიანი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები, სხვადასხვა ეთნიკური სათემოების ლიდერები, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მარიანა სოლომონიშვილი



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

მენორა

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
(აღარი II)
№3 (509)
(5784)
2024

„მנורה“
עיתון יהודי
בגורגיה



გელთგვით, 24-25 მარტი
ფუნიის დესახაუთი.

ומלכותה יתן המלך לרעותה הטובה ממנרה
ונשמין פתגם המלך אשר יישיה בכל מלכותו
כי רבה היא וכל הנשים יתנו יקר למעליהן למגדול
ועד קטן וייטב הרבה בעני המלך והשרים ויעש
המלך כדבר כמובן וישלח ספרים אל כל בריות
המלך אל מדינה ומדינה ככתבה ואל עם ויכתב
כל שוננו להיות כל איש ישרר נכותו ומדבר מלשון עמו
אחר הרברים האלה כשך חבת
המלך אחשוורוש זכר את ושתו ואת אשר ישתה
ואת אשר נגזר יצליה ויאמרו עזרי המלך משרתו
יבקשו למלך נעזרות בתולה טובות נראה ויעקד
המלך פקידים בכל מדינות מלכותו ויקבצו את
כל נעזרה בתולה טובת מראה אל שושן הבירה
אל בית הנשים אל יד הגא סרים המלך שמר
הנשים ונתון תמריקהן והנערה אשר תטב ביניה
המלך המלך תחת ושתו וייטב הדבר בעני המלך
וייש כן
איש יהודי היה בשושן
הבירה ושמו מרדכי בן אייר בן שמיעון בן קיש איש
ימינה אשר הגלה מירושלם יום הגלה אשר הגלה
עם יבנה מלך יהודה אשר הגלה נבוכדנצר מלך
בבל ויהי אמן את הדסה היא אסתר בת דודו כי
איז לה אב ואם והנערה יפת האר ועובת מראה

פני המלך אחשוורוש להביא את ושתו המלכה
לפני המלך בכתר מלכות להראות הימים
והשרים את יפיה כי טובת מראה היא ותמאן
המלכה ושתו לבוא כדבר המלך אשר כיר
הסריסים וקצף המלך מאד והמתו ביונה
ויאמר המלך להכבדים י-ע
העיתים כי בן דבר המלך לפע כל ידעו ית ודון
והקרב אליו כרשנא שתר אדמתא תרשיש
כרס מרסנא כמובן שבנות שרי פרס ומדי ו-
פני המלך הישבים ראשנה במלכות כדת סרה
לעשות במלכה ושתו יל אשר לא ישתה את
באמר המלך אחשוורוש ביר הסריסים
ויאמר מובכן לפני המלך והשרים לא
על המלך לברו ענותה ושתו המלכה כי על כל השרים
ועל כל הימים אשר בכל מדינות המלך אחשוורוש
כי יצא דבר המלכה יל כל הנשים להבנות בעליהן
בניניהן באמר המלך אחשוורוש אמרו לבוא את
ושתו המלכה לפני ולא באה והיום הזה תאמנה
שרות פרס ומדי אשר שבין את דבר המלכה למ
שרי המלך וכדי בויז וקצף אם יל המלך טוב יצא
דבר מלכות מלפניו ויכתב בודני פרס ומדי ולא
ייבור אשר לא תבוא ושתו לפני המלך אחשוורוש

מתיקא ודסה!